

ადგილობრივი ჯიშების აღდგენა და მდგრადი გამოყენება ბიომრავალფეროვნებაში

მსოფლიო მეცნიერების მიერ აღიარებული სასოფლო-სამეურნეო და შინაურ ცხოველთა შემოწვევა-მოშინაურების 6 კერიდან ერთ-ერთი მდებარეობს ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე. ამდენად, გასაგები უნდა იყოს ჩვენში სასოფლო-სამეურნეო და შინაურ ცხოველთა ადგილობრივი, აბორიგენული და/ან ენდემური ჯიშების ასეთი სიმრავლე და ნაირფეროვნება. ეს ჯიშებია: ძროხის ქართული მთის და მეგრული წითელი ჯიშები, კახური და სვანური ღორი, იმერული და თუშური ცხვარი, მეგრული თხა, მეგრული და თუშური ცხენი, წინწკლებიანი (მეგრული), ყელტიტველა, შავი, ჩალისფერი და ნაცარა ქათამი, ჩალისფერი (თიანეთური) ინდაური, ჯავახური ბატი, ქართული ნაგაზი (მეცხვარულა), ქართული მთის რუხი ფუტკარი.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის აღწერილი ასეთ მცირე ფართობზე შინაური და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების ჩამოყალიბების ისეთი სიხშირე და ნაირფეროვნება, როგორც საქართველოშია აღნიშნული.

საქართველოში გავრცელებული აბორიგენული და ენდემური ჯიშები წარმოადგენენ რა ქვეყნის ეკოსისტემის განუყოფელ ნაწილს, ხასიათდებიან რიგი უნიკალური თვისებებით; მათ შორისაა:

1. ბუნებრივი რესურსების კარგად ათვისების და რაციონალურად გამოყენების უნარი;
2. საკვების ხარისხისადმი ნაკლები მომთხოვნელობა და ერთეულ პროდუქტიაზე საყუათო ნივთიერებების მცირე დანახარჯი;
3. ცვალებადი კლიმატური პირობებისადმი ტოლერანტობა და ზოგიერთი დაავადებისადმი გადიდებული მდგრადობა;

მათი ღირსება და კონკურენტუნარიანობა გამოიხატება იმითაც, რომ ბუნებრივ პირობებში ისინი ბევრად უფრო დიდ პროდუქტიულობას ავლენენ და გვაძლევენ უკეთესი ქიმიური შედგენილობის და ბიოლოგიურად სრულფასოვან საკვებ პროდუქტებს, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებული კულტურული ჯიშები. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

მეგრული წითელი ჯიშის ძროხის სარძეო პროდუქტიულობა მთაბარობის პირობებში საძოვარზე კვებისას საშუალოდ შეადგენს 1800-1900 კგ რძეს, 4,39% ცხიმით. ასეთ მონაწველს, მთაბარობის პირობებში შენახვისას და დამატებითი საკვების გარეშე ვერც ერთი კულტურული ჯიშის ძროხა ვერ მოგვცემს. მეგრულ წითელი ჯიშის სხვა უნიკალურ თვისებებთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცხოველები კოლხეთის ჭაობის ცენტრში ფართოდ გავრცელებულ მცენარეს “ხაიას” (*Carex elata bellardi*) მაღიანად შეექცევიან, მაშინ როდესაც ძროხის კულტურული ჯიშები მას არ ჭამენ.

ძროხის ენდემურ ჯიშებზე სრული სურათის მისაღებად უპრიანია აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ ქართული მთის ძროხა საკვებს მოიპოვებს 35⁰- მდე დაქანებულ, ხშირად ქვადორღიან საძოვრებზე და მთაბარობის მკაცრ პირობებში გვაძლევს 1100-1400 კგ-მდე რძეს.

ნიშანდობლივია, რომ დაბალი ცოცხალი მასის გამო ქართული მთის და მეგრული წითელი ჯიშის ძროხა საჭიროებს ნაკლები რაოდენობით “საარსებო საკვებს”. ამის გამო ყოველი 1 კგ რძის წარმოებაზე ისინი ხარჯავენ 15-18%- ით ნაკლები რაოდენობის საკვებს, ვიდრე კულტურული ჯიშები.

იმერული ცხვრის ხორცი ხასიათდება განსაკუთრებული სენსორული თვისებებით და მასში ქოლესტერინის შემცველობა სხვა ჯიშის ცხვრების ხორცთან შედარებით ნაკლებია. ამასთან, მრავალნაყოფიერების და პოლიესტრულობის

წყალობით, ბუნებრივ საკვებ სავარგულებზე შენახვის პირობებში 1 ნერბიდან წელიწადში აწარმოებენ 35-40 კგ ხორცს (დაკლული მასით), ანუ პრაქტიკულად იმდენს, რამდენსაც გვაძლევენ ცხვრის კულტურული ჯიშები გაუმჯობესებული მოვლა-შენახვისა და ნორმირებული კვების პირობებში. იმერული ცხვრის გადიდებულ გენერაციულ ფუნქციაზე მეტყველებს №5320 ნერბის და მისი ნამატის აღწარმოების შესწავლის მონაცემები. დადგენილია, რომ ამ ნერბის შთამომავლობამ 2,5 წელიწადში 75 სული შეადგინა.

კახური ღორი ხასიათდება სიცოცხლისუნარიანობით, ტყის სავარგულების ათვისების განსაკუთრებული უნარით და გარემო პირობებისადმი შეგუების უნიკალური თვისებით. ის არა მარტო იკვებება ფოთლოვანი ტყის ნაყოფებითა და ბუნებრივი საძოვრების ბალახნარით, არამედ ხელს უწყობს ნიადაგის აერაციის გაუმჯობესებას და ტყის განახლების პროცესს. ბუნებრივ პირობებში გასუქებული ამ ჯიშის მოზარდის ხორცი განსაკუთრებულად გემრიელია და სენსორულ-ტექნოლოგიური თვისებებით სჯობს სტაციონალური პირობებში გამოზრდილი ზოგიერთი კულტურული ჯიშის ღორის მოზარდის ხორცს.

საკარმიდამო მეურნეობების ექსტენსიურად შენახვის პირობებში, სხვა ჯიშებთან და კროსებთან შედარებით ადგილობრივი ქათმები გამოირჩევიან სიცოცხლისუნარიანობით, ცვალებადი გარემო პირობებისადმი ადაპტაციის კარგი უნარით და ზოგიერთი ინფექციური დაავადებებისადმი (ჭირი, ლეიკოზი, მარეკი) გადიდებული რეზისტენტობით. დადგენილია, რომ ამ თვისებების წყალობით 12 თვიანი ექსპლუატაციისას ადგილობრივი ქათმების იძულებითი წუნდების და სიკვდილიანობის დონე საშუალოდ 16,5 % იყო, მაშინ, როდესაც ამ მაჩვენებელმა ლეგჰორნის ჯიშის “კროსი 288”-ში- 25 %, “ხაისექს ბრაუნ”-ში 27 %, “ლომან ბრაუნ”-ში კი 26-27 % შეადგინა. აღნიშნულის, აგრეთვე მაღალი კვერცხმდებლობის გამო წვრილი ფერმერები და პირად დამხმარე მეურნეობებში უპირატესობას ანიჭებენ მათ მოშენებას.

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების ბიოლოგიურ თავისებურებებსა და სამეურნეო ღირებულებაზე მსგავსი მაგალითების მოტანა შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ, ვფიქრობ, აღნიშნულიც საკმარისია იმის დასტურად, რომ სელექციის თანამედროვე მეთოდების დანერგვა, აგრეთვე მოვლა-შენახვისა და ბუნებრივი საკვებ-სავარგულების გაუმჯობესება უზრუნველყოფს ცხოველთა პროდუქტიულობის მკვეთრად ზრდას და ამ ბიზნესით დაკავებული ფერმერების (გლეხების) ეკონომიკურ აღმავლობას. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა არა ერთი სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტი და საწარმოო გამოცდა. ამ მონაცემების საფუძველზე წარმოებული გაანგარიშებები გვიჩვენებს რომ ენდემური ჯიშების გენეტიკური პოტენცია და ქვეყნის ბუნებრივი რესურსები საშუალებას იძლევა საკმაოდ სწრაფად გაუმჯობესდეს ცხოველთა პროდუქტიულობა. შედეგად ბუნებრივი საკვები სავარგულების ბაზაზე წარმოებული ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის ნატურალური რძით, რძის პროდუქტებით, ხორციით და კვერცხით სამომხმარებლო ბაზრის მნიშვნელოვანი სეგმენტის შევსება, თავის მხრივ, უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას უცხოელი დამსვენებლებისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ ადგილობრივი ჯიშების დაცვა-აღდგენისა და სრულყოფისაკენ მიმართული საქმიანობა, ჯერ კიდევ, გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან გამოსაყოფია ფსიქოლოგიური და ეკონომიკური მომენტები. ეს არის იმის მიზეზი, რომ გასული საუკუნის 30-ნი წლებიდან დღემდე ამ მიმართულებით გადადგმული ყველა ნაბიჯი ნაკლებად ეფექტური გამოდგა ან საერთოდ უშედეგოდ დამთავრდა.

ჩვენი აზრით, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებთან სანაშენე მუშაობის სწორად და მიზანმიმართულად წარმართვის საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება პრობლემის ირგვლივ მომუშავე ორგანიზაცია-დაწესებულებების საქმი-

ანობის კოორდინაცია, დღეს მომქმედი ყველა პროგრამის მეთოდური საკითხების დეტალურად განხილვა, მათი შეჯერება და, ამის საფუძველზე, საერთო ეროვნული კონცეფციის შემუშავება, რომელშიც გაწერილი იქნება განსახორციელებელ სამუშაოთა მიმართულებები, აგრეთვე მიზნის მიღწევის გზები და საშუალებები.

ამასთან, ჩვენი აზრით, კონკრეტული სახეობისა და ჯიშის პირუტყვი განხილული უნდა იქნას არა მარტო და, ალბათ, არა იმდენად, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის ობიექტი. წარმოადგენენ რა ქვეყნის კონკრეტული მხარის თუ კუთხის მცხოვრებთა სამეურნეო საქმიანობისადმი შემოქმედებითი მიდგომის, ანუ მატერიალური და სულიერი კულტურის ნაწილს, ამ ცხოველებს ისეთივე დაცვა სჭირდებათ, როგორც მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ:

1. მათ თავისი გარკვეული ადგილი უკავიათ კონკრეტული მიკროზონების ეკოსისტემაში და, ამდენად, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ამ სისტემის სტაბილიზაციის თვალსაზრისით;
2. არიან რა კონკრეტული მხარის (კუთხის) მცხოვრებთა ისტორიისა და კულტურის ნაწილი, დღესაც გარკვეული ადგილი უკავიათ მათ ყოფაცხოვრებაში;
3. სასელექციო პროცესში ამ ცხოველთა გენფონდის გამოყენებამ მნიშვნელოვანი სიახლეები შეიძლება გამოავლინოს;
4. ისინი ქვეყნის ბუნებრივი საკვებ-სავარგულების ათვისების თვალსაზრისით შეუცვლელია და ამ გარემოებას, ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.
5. დაბოლოს, ამ ჯიშების შენარჩუნება, მათი წარმოშობის ისტორიისა და ფილოგენეზის შესწავლა საინტერესოა არა მარტო ორგანული სამყაროს ევოლუციური განვითარების შეცნობისათვის, არამედ კულტურის ისტორიის და ერების ეთნოგენეზის მკვლევართათვისაც.

ამ საქმეში თავისი სიტყვა ეკუთვნით არასამთავრობო ორგანიზაციებს, მეცხოველეობის მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერთანამშრომლებს და უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლებს.

გიული გოგოლი.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; ს.ს.ი.პ.მიხეილ რჩეულიშვილის მეცხოველეობის ბიოლოგიური საფუძვლების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ტელ.222-043; 899-574-822; ელ ფოსტა: g.gogoli@posta.ge gigoli1945@mail.ru